ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №43/01-01, 16.03. 2012წ.

დანართი 1

ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

კანდიდატების შერჩევა 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის

1. **კონკურსის მიზანი:**
   კონკურსის მიზანია ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოპოვება 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. **კანდიდატის შეფასება:**
   კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

მოტივაცია	10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია	10 ქულა
აკადემიური მოსწრება	10 ქულა

ქულების განაწილება ზეპირი პრეზენტაციისთვის,მოტივაციისთვის აკადემიური მოსწრებისთვის:

10 ქულა	ბრწყინვალე
9 ქულა	ძალიან კარგი
8 ქულა	კარგი
7 ქულა	დამაკმაყოფილებელი
6 ქულა	საკმარისი
5 ქულა და ნაკლები	არადამაკმაყოფილებელი

თუ აპლიკანტმა შეფასების ერთ ერთ კომპონენტში მიიღო არადამაკმაყოფილებელი ქულა, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

გამარჯვებული და სარეზერვო კანდიდატების გამოვლენა მოხდება რანჟირების მეთოდით.